KINGS · ქართული ენის ოლიმპიადა

ტესტების მიმოხილვა

V კლასი · 2026 წლის შემოდგომა

I უფასო ტური · 8 ნოემბერი

ტესტის სტრუქტურა

#	სავარჯიშო	შეკითხვა	ქულა
I	ანბანი, ასო-ბგერები და თანხმოვნები	5	10
II	არსებითი სახელი, ბრუნება, კვეცა-კუმშვა და თანდებულები	5	10
III	ზმნა, ზმნისწინი და უღლება	5	20
IV	ლექსიკა: სინონიმები, ანტონიმები და განმარტებები	5	20
V	ტექსტის გააზრება	10	40
+	ბონუს სექცია	5	+25
	სულ	**30 + 5**	**100 + 25**

ტესტის შესახებ

V კლასის ტესტი შედგება **5 სავარჯიშოსა** და **ბონუს სექციისგან**. ძირითადი ნაწილი შეიცავს **30 შეკითხვას** და ფასდება **100 ქულით**, ბონუს სექცია კი **5 შეკითხვას** (დამატებით **25 ქულა**). ყველა შეკითხვა დახურული ტიპისაა: სამი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ) სწორია **მხოლოდ ერთი**. ტესტი ამოწმებს მორფოლოგიის (მეტყველების ნაწილების) ცოდნას, ბოლო სავარჯიშოში კი - ისტორიული ტექსტის გააზრებას.

სავარჯიშოები

I. ანბანი, ასო-ბგერები და თანხმოვნები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

ამოწმებს ანბანის ცოდნას: ასოების რაოდენობა და სახელები, მჟღერი და ყრუ თანხმოვნები, დამარცვლა და სიტყვის გადატანა.

მაგალითი

რომელ ჯგუფშია მხოლოდ ყრუ თანხმოვნები? **ა)** ფ, თ, ქ **ბ)** ბ, დ, გ **გ)** მ, ნ, ლ

სწორი პასუხი: ა) ფ, თ, ქ → ფ, თ, ქ ყრუ თანხმოვნებია; ბ, დ, გ - მჟღერი, ხოლო მ, ნ, ლ - ნარნარა (სონორი).

II. არსებითი სახელი, ბრუნება, კვეცა-კუმშვა და თანდებულები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

არსებითი სახელი: სულიერი და უსულო, ბრუნება, ფუძის კვეცა და კუმშვა, მრავლობითის ფორმები და თანდებულების სწორი გამოყენება.

მაგალითი

რომელი სიტყვა იკუმშება ნათესაობით ბრუნვაში? **ა)** ქალაქი **ბ)** ნიგოზი **გ)** ხე

სწორი პასუხი: ბ) ნიგოზი → ნიგოზი → ნიგვზის: ფუძის ხმოვანი „ო“ ამოვარდა, ე. ი. სიტყვა შეიკუმშა.

III. ზმნა, ზმნისწინი და უღლება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 20 ქულა**

ზმნა: ზმნისწინი და მისი მნიშვნელობა, დრო (აწმყო, წარსული, მომავალი) და ზმნის სწორი ფორმის შერჩევა წინადადებაში.

მაგალითი

რომელი ზმნისწინი აღნიშნავს ზემოდან ქვემოთ მიმართულებას? **ა)** ჩა- **ბ)** ა- **გ)** შე-

სწორი პასუხი: ა) ჩა- → ჩა-ვიდა - ზემოდან ქვემოთ; ა-ვიდა - ქვემოდან ზემოთ; შე-ვიდა - გარედან შიგნით.

IV. ლექსიკა: სინონიმები, ანტონიმები და განმარტებები

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 20 ქულა**

ლექსიკა: სინონიმები, ანტონიმები, სიტყვის განმარტება და გამოთქმის მნიშვნელობის ახსნა.

მაგალითი

რომელი სიტყვაა „მამაცის“ სინონიმი? **ა)** გაბედული **ბ)** მშიშარა **გ)** ზარმაცი

სწორი პასუხი: ა) გაბედული → „მამაცი“ და „გაბედული“ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია; „მშიშარა“ მისი ანტონიმია.

V. ტექსტის გააზრება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **10 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 40 ქულა**

მოცემულია ისტორიული ტექსტი ტაო-კლარჯეთის აღორძინებაზე. შეკითხვები ამოწმებს როგორც ფაქტების ცოდნას, ისე ტექსტის აზრის გაგებას.

მაგალითი

> *1921 წელს საქართველოს ეროვნული საგანძური საფრანგეთში გაიტანეს. განძს მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი გაჰყვა. ოცზე მეტი წლის განმავლობაში იგი თავდადებით უფრთხილდებოდა მას, თუმცა თავად დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. 1945 წელს საგანძური სამშობლოს დაუბრუნდა.*

რატომ უწოდებენ ექვთიმე თაყაიშვილს საგანძურის მცველს?

ა) რადგან განძი გაყიდა

ბ) რადგან წლების განმავლობაში ერთგულად უფრთხილდებოდა განძს

გ) რადგან ახალი მუზეუმი ააშენა

სწორი პასუხი: ბ) რადგან წლების განმავლობაში ერთგულად უფრთხილდებოდა განძს → ტექსტის თანახმად, ის ოცზე მეტი წლის განმავლობაში უფრთხილდებოდა განძს, თუმცა თავად გაჭირვებაში ცხოვრობდა.

ბონუს სექცია

ძირითადი ტესტის შემდეგ მოცემულია ბონუს სექცია: **5 შეკითხვა**, თითოეული 5 ქულა, ჯამში **25 ქულა**. შეკითხვები ზოგადია და ეხება ლექსიკას, ანდაზებს, გამოცანებსა და ფრაზეოლოგიზმებს. ბონუს ქულებით მოსწავლეს შეუძლია ტესტში დაშვებული **შეცდომები აანაზღაუროს**.

მოსამზადებელი კურსი

დამატებით მოსამზადებლად მოსწავლის პროფილში ხელმისაწვდომია ოლიმპიადის **მოსამზადებელი კურსი**. კურსს ოლიმპიადის **I ტურის მსგავსი სტრუქტურა** აქვს, ტესტის შესასრულებლად კი მოსწავლეს **1 საათი** ეძლევა. კურსის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მოსწავლეს შეუძლია:

- გადახედოს დაშვებულ შეცდომებს
- გააანალიზოს სუსტი მხარეები
- უკეთ მოემზადოს ოლიმპიადის I ტურისთვის

ქართული ენის ოლიმპიადის I უფასო ტური გაიმართება 8 ნოემბერს. გელოდებით!